

„ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც, სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო, რაც მოხდა. ერთ ღამეს, აგვისტოს შუა რიცხვებში, ღამით, თავადისშვილი მამაკაცები მოუკრეფიათ და კიდევ დაუხოციათ“. ქ.ვ.–ს დღიურიდან.

„ქეთუშა“ ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

კნენა მაკო – (ქართული, ტრადიციული სამოსით) 70 წლის

თამარი – კნენა მაკოს რძალი – 30 წლის

ქეთუშა – თამარის შვილობილი – 19 წლის

იაგორა – კომკავშირელი – 21 წლის (შეიძლება, ადელვების დროს, ენას უკიდებდეს)

(1924 წლის აგვისტო.

კახეთის ერთ-ერთი სოფელი. თავადის დაშლილი სახლი. ორი ოთახია დარჩენილი. აივნოდან მოაჯირი მოხსნილია. კიბეების მაგივრად ქვეები დევს. დაშლილი ხის მასალა ეზოში აწყვია, ალბათ, გასაყიდად იყო გამზადებული. ოთახში ნივთები უწესრიგოდ არის მიყრილ-მოყრილი. ჩანს, რომ ახლახან ჩხრეკა ჩატარდა. ოთახში არიან: კნეინა მაკა და ქეთუშა. შემოდის თამარი. ისმის ცხენების ფლოქვების ხმა და ძაღლის წკმუტუნნი).

თამარი – გარეთ კიდევ ხუთნი იყვნენ, ამათ ელოდებოდნენ.

ვუთხარი, რა დავაშავეთ, რას ეძებდით, იქნებ ჩვენ ვიცით და გითხრათ. ხმა არ გამცეს. მერე ერთი მეუბნება, ქაიხოსრო ყაჩაღს აქ ღამე ხო არ გაუთენებიაო. რო ვუთხარი – არა, აქ რა უნდოდა მეთქი, ხმა აღარ გამცა, აღარაფერი მითხრა.

მაკო – ქაიხოსროს და მაგათი ხალხის არეულ-დარეულია ყველაფერი, რას ატყდნენ, რატო არ გაჩერდნენ.

ქეთუშა – მეტი არაფერი უთქვამთ?

თამარი – დამკომის ხალხს იცნობთო?

დამკომს, რას ეძახით მეთქი.

არ იციო?! შვილის სიცოცხლეს გეფიცებით, არა მეთქი.

კარგი, კარგიო.

მაკო – რა დამკომი, ეგ რაღაა?

ქეთუშა – დამოუკიდებლობის კომიტეტი. შემოკლებით ეძახიან.

მაკო – მერე მაგათ რაღა უნდათ, ვინ არიან?

ქეთუშა – მთავრობა რო გაიქცა, იმათი ხალხია, ახლა დაბრუნება უნდათ და დამოუკიდებლობის აღდგენა.

მაკო – ჩვენ ვინა გვკითხა, ან გაქცევა, ან დაბრუნება. ან რას გარბოდნენ, ან რას მორბიან.

ქეთუშა – კარგი ბებო, ვითომ არ იცი

მაკო – არ ვიცი. არ ვიცი. მე არ გავიხარო, თუ ვიცოდე. ისე წავიდნენ, არა თქვეს ვინა ვართო?

თამარი – არა არ უთქვამთ. ბოლოს, ის რო კოჭლობდა, ცხენიდან გადმოიწია და

მეკითხება – კნიაზ ზაქარია, როდის დაილუპაო, თებერვალში მეთქი. არა მარტი იყო...

ქეთუშა – მართალი უთქვამს, მარტში გრდაიცვალა.

პაპა რო დავასაფლავეთ, არდადეგები ჯერ არ იყო დაწყებული, გიმნაზიიდან რო დავეთხოვე. ეტყობა იცნობდა. ალბათ ქელეხშიც იყო წამოჭიმული ეგ ოხერი.

მაკო – ჩემი ქმარი რატო გაიხსენა, რა მინდაო.

თამარი – არ ვიცი, არ ვიცი. როგორც ჩანს, იცნობდა და გაახსენდა.

მე ვუთხარი, ჩვენ, კაცები აღარა გვყვანან, გარდაიცვალნენ მეთქი და მაშინ მკითხა, შენი ქმარი ისპანკით არ მოკვდაო? ექვსი წლის წინ მეთქი. კარგი, კარგიო, რაღაცა ბლოკნოტში ჩაინიშნა და ნუ ღელავთ, შედით სახლში და არ გამოხვიდეთო.

მაკო – რა ჭირი უნდათ, რატო თავს არ გვანებებენ. ეს, ქაიხოსროს მოსვლის ამბავი, საიდანღა იცოდნენ.

თამარი – რას ამბობთ, ნამყოფია, აქა?

მაკო – შარშან ამ დროს მობრძანდნენ მაგის კაცები. შენ და ქეთუშა ქალაქში იყავით წასულები. ღამის გათენება უნდოდათ, ვაჟბატონებს. ზაქარიამ უარი უთხრა, ვერ მიგიღებთ, ქალები მყავს, მე ავადა ვარ და არც პირობები მაქ თქვენისთანა ხალხი დავაბინავო, ქვემოთა სოფელში წადით ჩემ ნათლულთან, იმას დიდი სახლი აქ და ის გაგათენებინებთ ღამესო. ამ დროს გამოვედი აივანზე, არც მომესალმნენ, ხმაც არ ამოიღეს, ისე წავიდნენ გაბრაზებულები, მარტო ერთმა მოატრიალა ცხენი და დაიძახა – იცოდე ზაქარია, ქაიხოსროს არ მოეწონება ეს ამბავიო.

ქეთუშა – რო მიგელოთ, ერთი ღამე გაგეთენებინათ, რა იქნებოდა.

მაკო – მეც ეგ უთხარი ზაქარიას, მიგველო, ვინ გაიგებდა, რატო გავანაწყენეთ, რამე შარს არ გადაგვიდონ მეთქი. რას ამბობ ქალო, ხვალვე მეტეხის ციხეში წაგვეყრიდნენ, თუ იმას იქით არაო. თან გამაფრთხილა, ეს ამბავი არავის არ უთხრაო. აქამდის ვიყავი ჩუმად... ამათ საიდანღა იცოდნენ ეს ამბავი?!

თამარი – შეიძლება, არც იცოდნენ. როცა ცოდნოდათ, თავს არ დამანებებდნენ. თუმცა რა ვიცი, რას გაიგებ, დღეს, ვინ, ვინ არის და ვინ, რა იცის. (ალაგებს სახლს. ქეთუშაც ეხმარება)

მაკო – სადაც კი ფეხი დადგა, ამ ქაიხოსრომ, ყველგან ცეცხლი და დოზანა გაჩნდა. თავის სოფელი ხო, სულ ამოაბუგინა.

თამარი – ჩვენ, აბა, რა შუაში ვართ. რა ვიცით, სად რა ხდება. ვართ, ჩვენთვის, თავი ძლივს გაგვაქ და რა უნდათ? როგორ შეიძლება ეგრე ხალხის შეწუხება... შეხედეთ, ანდრონიკაანთ ნაჩუქარი ვაზა გაუტეხიათ.

მაკო – ჩვენი ჭირიც წაუღია, თუ თავს დაგვანებებენ ჯანდაბას ეგ ვაზა, მაგრამ, არ დაგვეხსნებიან... ჯერ იყო და მენშევიკებმა გვიყვეს სიკეთე, წავგართვეს რაც თვალში მოუვიდათ. კიდევ კარგი ზაქარიამ მოასწრო მიწების გაყიდვა...

თამარი – მართალს ამბობთ დედა, მაგრამ ის ფული რომ არაფერში გამოგვადგა, მეორე დღესვე გაბონდდა.

მაკო – მაინც წართმევას სჯობიაო, ამბობდა, ცხონებული. მერე ეს სახლი დაშალა და გაყიდვა ვეღარ მოასწრო, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, როცა არ დამეშალა, ან მაღაზიას გახსნიდნენ, ან ვიღაცეებს შემოგვისახლებდნენო – სულ ამას ამბობდა საწყალი... მერე ამათ ხო სულ არაფერი დაგვიტოვეს. ეჰ! წაიღეს ყველაფერი და გულიც გაუხეთქეს კაცსა. ვაი, ვაი, ვაი!

ქეთუშა – ის მიწები, სათიბები ხევამდე, სულ ჩვენი არ იყო? არა, ბებო?

მაკო – მაშ! მარტო ეგა? კაბალზე ძროხა, მთაში ცხვარი. ფრინველებს ხო ვინ მოთვლიდა. შვინდის ტყე ცალკე, ეჰ! ჩემი მაზლის შვილი, რაფო, სულ იმას წუხდა, თქვენ მამაჩემთან გაყოფის შემდეგ, უფრო ბევრი მამულები შეგხვდათო; ზაქარია კიდევ ბრაზობდა; რაფო, შვილო, ძმისშვილო, შენმა ყურებმა ვეღარ უნდა გაიგოს, რომ ეს მიწები, ჩემი ძმისგან, თაზიკოსგან, ოქროთი მაქ ნაყიდო... ეჰ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს, კიდევ კარგი ვერ მოესწრო ამ დღეს... მაინც რას ეძებდნენ, რას, რა უნდა დაგვემალა, ზარბაზნები, თუ ტყვიაწამალი...

ქეთუშა – შეიძლება წიგნებს, ან ხელნაწერებს ეძებდნენ.

მაკო – რომელი მწერლები ჩვენ ვართ, ან რა ისეთი წიგნები ჩვენა გვაქვს, რომ მაგათ გამოადგეთ...

ნეტა სხვებთანაც მივიდნენ?

ქეთუშა – ხვალ გავიგებ.

თამარი – ხვალ გვეცოდინება, მარტო ჩვენთან მოვიდნენ თუ სხვებთანაც.

(ამასობაში, ოთახი შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა)

მაკო – მე მგონი, ჩვენ ვყავართ მიზანში. ნამდვილად იმ კაცების მოსვლის ამბავი იცინა.

ხვალაც მოვლენ, დაგვკითხავენ ალბათ.

ქეთუშა – მოვიდნენ, რაც არ არის რას იპოვიან, რაც არ ვიცით, რას გაიგებენ.

თამარი – კარებს გავხსნი ცოტა, ნიავი შემოვიდეს.

მაკო – არ გინდა, ხო გითხრეს შინ იყავითო.

თამარი – სახლიდან ხო არ გავდივართ. კარები გავხსნათ რო ჰაერი შემოვიდეს. მაშინ ფანჯარას გავხსნი.

მაკო – შეიძლება ვილაცა დგას გარეთ და თვალყურს გვადევნებს.

ქეთუშა – ვინმე რო იყოს მურა დაიყეფებდა. (მიდის ფრთხილად ალებს კარებს. იხედება)
არა ბებო, ნუ გეშინია, არავინაც არ არი.

მაკო – მაშ, არც ერთი არ იყო ამ სოფლიდან?

თამარი – ერთი ვიცანი, მოშორებით იდგა.

მაკო – ვინ იყო?

თამარი – რა მნიშვნელობა აქ. ვინც იყო, იყო.

მაკო – მაინც ვინ იყო, რათ მიმაღავ...

თამარი – ჩვენი ნამოჯამაგირალის ბიჭი... კარგად არა ჩანდა, მაგრამ ის იყო გონი. იმან მოიყვანა ეს ხალხი, აქა.

მაკო – ჩვენი ნამოჯამაგირალის. რომლისა?

თამარი – რაღა აზრი აქ, რომლისა, რაღაზე უნდა იშალოთ ნერვები. რაც არის, ეგ არის.

მაკო – არა მაინც რომლისა? არ გახსენდება?

თამარი – უვარგისი რო იყო, კაკლებს რო გვიბერტყავდა და მერე ისევ თავიდან დასაბერტყეი რო ხდებოდა.

მაკო – სარდიონი?

თამარი – არა, სარდიონი უვარგისი რატო იყო. დამავიწყდა სახელი, მაღალი, ჭყეტელა. აი, მამამ მოზვერი რო აჩუქა, იყოლიე გაზარდეთ და იმან კიდე, მეორე დღესვე დაკლა, ავად გახდა, კვდებოდაო. მაგის გამო რო დაითხოვეთ.

მაკო – ჭირად ექცეთ რაც მაგათზე სიკეთე გვაქ გაკეთებული. ეგ ის იქნება ტიტლიკანა რო დასდევდა მამამის და ცინგლებს რო ვერ იშორებდა...

თამარი – ახლა კომკავშირელია...

მაკო – კომკავშირი და ჭირი მაგას. ამხელა გაიზარდა?

თამარი – გაიზარდა, ქეთუშაზე დიდია სამი წლით.

მაკო – რა ჰქვია?

თამარი – გონი, გიგო ჰქვიან, მაგ არ გასახარებელს.

ქეთუშა – იაგორა ჰქვიან.

მაკო – შენ საიდან იცი.

ქეთუშა – ვიცი, რა დამავიწყებს, ჩვენ ბავშვები რო ვთამაშობდით, ეგ ლობის გარეთ იდგა და გვიყურებდა, დედამისი დაუძახებდა ხოლმე კვილით. აი ესე (ხმას იწვრილებს). იაგორააა, შე არ საცოცხლებლო, იაგორააა მოდი, სადა ხარ. იმის კვილი ახლაც მიდგას ყურში, ახლა კომკავშირელია, რევოლვერი აქ ჩამოკიდებული.

მაკო – მაშ, ეს ტიტლიკანა ბაღლი, ახლა თავზე გვაზის. ვინ მოიფიქრებდა.

თამარი – ნუ აიშლით ნერვებს. ჩაის დალევთ? დავადგი სამოვარი?

მაკო – ცეცხლს დავლევ, რამ მომასწრო ამ დღესა.

ქეთუშა – ბებო კაკაოს დალევს? არა ბებო?

მეც დავლევ კაკაოს.

მაკო – რა დროს კაკაოა, დავწვეთ იქნება დავიძინოთ, თორე გათენდება სადაცაა. ხვალ რა ვიცით რა ხდება. ღმერთო შენი სახელის ჭირიმე...

არა, ჩემ ქვეშაგებში რას ეძებდნენ, რა ვერ იპოვეს.

თამარი – მოიცათ, ჩუმად, გონი ვილაცა დგას კარებთან.

(ყველანი შეკრთებიან. გაისუსებიან.

ისმის ძაღლის ყეფა.)

იაგორა – (აივანზეა ამოსული, კარებთან დგას) აქ ფაფახი ხო არ დარჩენია ვინმეს.

იაგორი ვარ, წელან ხალხი რო მოვიყვანე.

თამარი – არა, აქ არავის არაფერი დაუტოვებია. გარეთ თუ არის.

მაკო – (გაგულისებული) ბიჭო ვინ იყვნენ, რას ეძებდნენ, რა დაუშავეთ?

იაგორა – მაზრიდან იყვნენ ობისკზე ჩამოსულები.

მე დამევალა რო წამოვყოლოდი და წამოვყევი. მეტი არაფერი ვიცი. მაშ ფაფახის ქუდი არავის დარჩენია. აბა კარგად მოათვალიერეთ.

თამარი – არა, არა, აქ არაფერი არ არი.

იაგორა – აბა ვნახავ ერთი.

თამარი – კარებს ვერ გაგიღებთ, ვიძინებთ უკვე.

იაგორა – (ყოყმანის შემდეგ) კარგი, აღარ შეგაწუხებთ... ერთი რამე იცოდეთ, რაც არ უნდა მოხდეს, თქვენ ნუ შეგეშინდებათ...

თამარი – ჩვენ არაფერი დაგვიშავებია და არც არაფრის გვეშინია. წადი ახლა, წადი. (ანიშნებს მაკოს და ქეთუშას ჩუმად რომ იყვნენ)

იაგორა – კარგი, კარგი, ეგრე იყოს.

თამარი (ჩურჩულით) – არ მიდის, ისევ იქა დგას.

(ძალი ყეფას უმატებს)

იაგორა – გადი ძაღლო, არ აიწყვიტო, შენი...

(ამოიღებს რევოლვერს და ჰაერში ისვრის)

თამარი – ძაღლი არ მოგვიკლა, ბიჭო.

ქეთუშა – ძაღლს არ ესროლო, შე მუტრუკო.

იაგორა – თამარა მამიდა, ნუ გეშინიათ, ნუ შეგეშინდებათ, ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ...

(გადის)

თამარი – წავიდა. (ქეთუშა გარეთ გასვლას აპირებს. თამარი არ უშვებს)

არ გახვიდე, არ გახვიდე.

ქეთუშა – მურა! მურა! (ემახის ძაღლს)

(გარედან ისმის წკმუტუნის და ყეფა)

თამარი – ძაღლისთვის არ უსვრია, აგე ცოცხალია.

არ გახვიდე (ქეთუშა ჩერდება)

თამარა მამიდაო, ეგ მურდალი, მამიდა რო გავხდი ამისი...

რატო ღმერთი არ გაიცინებს.

მაკო – ფეხზე რო დაგვაჯდა, დაიწყო მაგ ტილიანმა ბობღვა. ფაფახი, არა ჭირი! ეგ მაგისტვის არ იყო მოსული. ალბათ თვალყურის სადევნებლად გამოგზავნეს.

თამარი – გავიქცეოდით სადმე, თუ რა.

მაკო – ეგ არი, ნამდვილად, ჯიკანთ ბიჭი?

თამარი – ეგ არი. ამ ორი თვის უკან, ჩვენ ეზოში იდგა და სახლს უყურებდა. ამიფანცქალდა გული. რა გინდა ჩვენ ეზოში, ვინა ხარ მეთქი. თქვენი მოჯამაგირის შვილი ვარ. სადღა გვყავს მოჯამაგირეები, რა გინდა სხვის ეზოში მეთქი. სახლი რო დაგიშლიათ, წვიმის დროს, წყალი არ ჩამოგდითო?

არ ჩამოდის, შენ ვინ გამოგზავნა, რა გინდა მეთქი. მე კომკავშირში ვარ და ყველგან უნდა ვიცოდე, სად, რა ხდებო. მერე რევოლვერი ამოიღო, ქათმის დაკვლა თუ გინდათ, მოგიკლავთ. არა არა მეთქი. გაიღრიჯა. და წავიდა. დავრჩი შეშინებული...

ქეთუშა – ჩვენ სად ვიყავით?

თამარი – გეძინათ.

მაკო – ეგენი უარესსაც გაბედავენ.

თამარი – რა ვიცით, თან გვეუბნება, არ შეგეშინდეთო...

გვამხნეებს, ვითომ?

მაკო – არ დაიჯერო, შვილო არ დაიჯერო. ეგენი ისე არიან გონებადაბნელებულები, მარტო ღმერთმა იცის, რა მოუვათ თავში.

ქეთუშა – ამას წინათ, პაპა ჯერ ცოცხალი იყო, შარშან ამ დროს, ჩვენ ვენახებთან ავიარე. გლეხები ადრეულა ყურძენს კრეფამდნენ და გოდრებით ურემზე აწყობდნენ. ვიფიქრე ცოტას მეც მოვკრიფავ და სახლში წამოვიღებ მეთქი. ვენახში არ შემიშვეს, წონით უნდა ჩავაბაროთო. წამოვედი გულგასიებული. ვხედავ ვიღაც მომდევს, დამეწია ეს იაგორა და ერთი აკიდო, დახუნძლული მტევნებით, მომაწოდა. ეს, ჩემგან, საჩუქრადო. არა მეთქი. წამოვედი. მომასკდა ცრემლები, კარგად რო მოვშორდი, უკან მოვიხედე და ეს მუტრუკი ისევ იმ ადგილას იდგა და მიყურებდა. წამოვედი სირბილით, უკანმოუხედავად. პაპას მოუყევი ეგრე იყო მეთქი. არაფერი არ მითხრა, ერთი ამოიგმინა მხოლოდ...

მაკო – უყურე მაგას, ჩვენ საკუთარს, ჩვენვე გვჩუქნიდა?!

ეგ მურდალი ეგა, ჩვენი ვენახებიდან? ჩვენი ვენახებიდან?

ქეთუშა – რით ვერ გაიგეთ, აღარ არი ჩვენი, აღარ. არც ვენახებია ჩვენი, არც წყალი, არც მინდორი, არაფერი აღარ არის ჩვენი და ნუ იცით ხოლმე ეგრე თქმა, (აჯავრებს) ჩვენი ტყე, ჩვენი წყალი, ჩვენი ცხვარი, სოფლისაა, ყველაფერი სოფლისა...

მაკო (გაბუტული) – სინდისი ხოა, ჩვენი.

ნამუსი ხოა, ჩვენი,
ეგ ცოტა გგონია?!
ეგ მაგათ არა აქვთ, და ვერც წაგვართმევენ.
აღარ გამცე ხმა!

(თამარი ქეთოს ანიშნებს რომ გაჩერდეს. ერთხანს სიჩუმეა)

თამარი – გაგვიტეხეს ძილი და დავლიოთ ჩაი.

ქეთუმა – მე და ბებო კაკაოს დავლევთ. არა ბები?

თქვენო ბრწყინვალეზავ, კნიაგინია, გნებავთ კაკაო?

მაკო – არ გამცე მეთქი ხმა!. იცოდე კიდე გამაბრაზებ და ავდგები, ჩავალაგებ ჩემს
საკოიაჟში რამეებს და წავალ.

ქეთუმა – მერე მე კიდე გამოგეკიდები, დაგეწევი და დაგაბრუნებ უკან.

მაკო – მაშინვე არ წამოგყვე!

ქეთუმა – მაშინ დავიწყებ ტირილს, ვიტირებ, ვიტირებ, ვიტირებ. შენ კიდე ხო ჩემ
ტირილზე გული გიკვდება. ხოდა ადგები და გამომყვები. მერე ავადულებთ
სამოვარს და დავლევთ კაკაოს. (კოცნის და ეფერება) ჩემი ლამაზი ბებო, ჩემი
მზეთუნახავი.

მაკო – უი, ჩაქრი, ჩაქრი შენა.

ქეთუმა (წაიმღერებს) – სანთელივით ჩავქრები, შაქარივით დავდნები. მოგიტანო გიტარა?

მაკო – ისედაც ჭკუა არეული მაქ და სრული სიგიჟისთვის, ეგლა მაკლია.

თამარი – კარგი, ქეთუმ გეყოფა, ნუ აწუხებ ბებოს.

ქეთუმ – იმათ უნდა გაიგონ, რო არაფრის არ გვეშინია, არა ბებო? მაგათ არ იციან შენ ვინა
ხარ, თორე ვერც გაბედავდნენ მოსვლას, ის როგორ იყო, გუბერნატორთან რო
შეხვედი, მოყევი რა, ძალიან გთხოვ.

მაკო – რამდენჯერ უნდა მოვყვე, არა ვარ მაგის ხასიათზე.

ქეთუმა – მოყევი რა, ძალიან გთხოვ, მამის სულს გაფიცებ, მოყევი.

(ყვება ნაძალადევად. მერე გახალისდება)

მაკო – კარგი. იყო ერთი აზნაური გაღმა სოფლიდან. ვალს არ მიხდიდა, არ მეკუთვნისო.
ავდექი და პირდაპირ გუბერნატორთან წავედი. ეგეც თან წავიყოლე. შევედით
კაბინეტში.

ქეთუმა – არა, არა, მანამდე ფაიტონით რო წახვედი და ეგ რო არ ჩასვი.

მაკო – დროშკა ვიქირავე, ქვემოთამდე ურმით ჩავედი. ჩავჯექი დროშკაში, მოკაზმული ვარ, ჩიხტიკოპი, კავეები, ქოლგა, ხელთათმანები, და ამანაც, არ მომინდომა გვერდით დაჯდომა?! დაუყვირე მედროშკეს, გარეკე ცხენი მეთქი. იმანაც გააჭენა. ეს ტუტუცი, ხევ–ხევ წამოსულა, ვიღაცას გამოჰყოლია. მოვიდა აქოშინებული, ეს რა მიყავით კნეინა მაკო, როგორ დამტოვეთო, აზნაური ხო ვარო.

მეტი არ იყოს, პეტრიანთ, გვერდზე მოვისვამდი მეთქი. შევედით. გუბერნატორი წამოდგა. ხელზე მაკოცა, დამსვა კრესლოში. ეს კიდე ფეხზე დგას. მე და გუბერნატორმა გავაბით საუბარი. რო გაიგო, რაში იყო საქმე, პირდაპირ უთხრა: უნდა გადაიხადო, ციმბირს უკან დაგატოვებინებო. მერე, ეგ უბედური ყვებოდა, კნეინა მაკა კრესლოში ჩასვა, მე კიდე ფეხზე ვიდექ და თვალებს მიბრიალებდაო. ზაქარიამ უთხრა, არ იცოდი რო ეგრე იქნებოდაო.

ქეთუშა – ხო გადაიხადა.

მაკო – მაშ, სულ ოქროთი... ისპანკამ მოკლა ეგეც...

(მაკო შეჩერდება, თითქოს რაღაც წამოსტკივდა)

თამარი – რა იყო დედა, გული ხო არ აგტკივდათ.

კაპლი ხო არ მოგცეთ?

მაკო – არა, არა, არაფერია.

თამარი – ბევრ კაკაოსა სვამთ დედა...

მაკო – აბა უყურე. თუ კაკაო თავდება, ეგა თქვი, ბევრსა ვსვამ, რასა ჰქვია...

ქეთუშ, მოდი.

ქეთუშა –რა არის ბებო.

მაკო – აი ამ ყელსაბამს ხო ხედავ. რაც ეს ოხრები მოვიდნენ, სულ შიგნით, დაფარულად მიკეთია, შენი იყოს.

ქეთუშა – კარგი რა, როდის იყო ესეთ რამეებს ვიკეთებდი.

მაკო – გამომართვი. ეხლა გამომართვი, თორე იცოდე, თუ არ გამომართმევ, მერე რო მოგკვდები, აღარ ამხსნათ და ჩამატანეთ. გამომართვი მეთქი.

ქეთუშა – კარგი რა ბებო, ნუ იცი ეგეთები.

რა დროს სიკვდილია.

თამარი – რა დროს ეგ არის დედა, აბა რას ამბობთ.

მაკო – მე რაც მინდა, იმას ვამბობ. ეს ხელმწიფის გამოგზავნილია, უფრო კი, იმის ცოლის.

ადრე, ხელმწიფე აქ რო იყო ჩამოსული, ბოდბის მონასტერში... მთელი კახეთის თავადობა, კაცი და ქალი, დავლაგდით იქა. ხელმწიფე, მაშინ, ბავშვებსაც ნათლავდა. მე და ზაქარიას გვინდოდა მამაშენიც მოგვენათლებინა, მაგრამ, ჩემი ქმარი გატუტუცდა და სიხარულისგან თოფი დასცალა. იმ საათში მოვარდნენ სტრაჟნიკები, ვინ ისროლა თოფიო. შეგვეშინდა და დავაბრალეთ პატარა საშვიკოს, ჩემ ძმიშვილს 10 წლისას. ამას გაუვარდაო, ვუთხარით. ბავშვს აღარაფერი უთხრეს და დაგვანებეს თავი. მერე, ბავშვის მონათვლა. ველარ გავბედეთ. ჩემმა დამ კი, თავის ნიკუშა მოანათვლინა და ხელმწიფემ მერე ეს ყელსაბამი გამოუგზავნა... სულ ვდარდობდი, ჩვენც რო მოგვენათლინებინა, ხო ჩვენც გამოგვიგზავნიდა მეთქი. იმდენჯერ ვთქვი, ისე შეუწყუხე ჩემ დას გული, რომ ჩემმა დამ, შენ ეგ დარდი მოგკლავსო, ადგა და სააღდგომოდ მაჩუქა – ახლა შენი იყოს... თუ ახლა არ გამომართმევ, მერე აღარ მოგცემ... ხელმწიფე ხო ოჯახიანად დახოცეს და იმათი გამოგზავნილი, დიდი მადლია...

ქეთუშა – კარგი ბებო, დიდი მადლობა. (იკეთებს ყელსაბამს) მიხდება?

მაკო – მაშ. მერე როგორ!

ქეთუშა – აღარ მოვიხსნი.

თამარი – რათ უნდოდა მაგას... რა დროს მაგისტვის ეგეთებია...

ან სად უნდა გაიკეთოს.

მაკო – უნდოდა. უნდოდა გაიკეთე შვილო. გაიკეთე.

ქეთუშა – მეც დაფარულად მეკეთება: კოფთის შიგნით.

არავის არ ვაჩვენებ. ჩემ ქმარს ვაჩვენებ მარტო.

თამარი – უყურე ამ ტუტუცს, რა დროს ეგ არი, გოგო.

მაკო – შენ რამდენი წლისა გათხოვდი. ან მე.

თამარი – მაშინ სხვა დრო იყო.

ქეთუშა – სიყვარულმა დრო არ იცის, არა ბებო?

თამარი – ვინ იცოდა სიყვარული რა იყო. მაყრები რომ მოვიდნენ ჩემ წასაყვანად, ფანჯრიდან ჩუმად ვიხედებოდი, ნეტა ჩემი საქმრო რომელია მეთქი. ეკლესიაშიც კი, სახეში ვერ შევხედე, მომერიდა, მარტო ჩოხის კალთებსა ვხედავდი.

მაკო – მე კი, წინასწარ ვიცოდი, სანამ შუამავლებს გამოაგზავნიდა. ჩვენ ლობესთან ააჭენებდა, და გამოაჭენებდა ცხენს. აი, ეგრე იყო, თითქმის ყოველ ცისმარე დღეს! მეტს კი ვერა ბედავდა...

ექს! რა დროს ეგ არი... მაინც რა უნდოდათ ჩვენგან, რას ეძებდნენ.

ღმერთო, შენ გაგვითენე მშვიდობის ღამე.

ქეთუშა – ამასობაში თენდება კიდეც.

II სურათი

(რიყრაჟია. ისმის ძაღლის ყეფა. მერე წკმუტუნი)

თამარი – ვიღაცაა გარეთ, ეტყობა შინაურია.

ქეთუშა – მე გავალ.

თამარი – არა იყავი. ჩუმად ბებო არ გააღვიძო.

(კარებს ოდნავ გახსნის. იხედება)

ჩვენი ნასტია დგას ლობესთან ლამფით. ხელს მიქნევს. ქეთუშ, ფეხი არ მოიცვალო. (გადის)

(ქეთუშა ფეხაკრეფით მოდის კარებთან. მერე მაკოს დახედავს)

მაკო – ისევ მოვიდნენ?

ქეთუშა – არა ბებო, დაიძინე, ნასტიაა.

მაკო – მერე რატომ არ შემოდის.

ქეთუშა – არ ვიცი დედას ანიშნა, გამოდიო.

რალაც მოხდა ალბათ. შეიძლება, ძია რაფოა ცუდად და წამალი უნდა.

(ერთხანს ჩუმად არიან)

მაკო – ამით არ დამთავრდება ეს ამბავი. ცუდს მიგრძნობს გული. სანამ არ მოგვინელებენ, არ დაგვეხსნებიან.

ქეთუშა – რას ამბობ ბებო. ვის რაში ვჭირდებით. ვის რას ვუშლით.

(შემოდის თამარი, აღელვებული)

თამარი – წუხელ ვიღაც კაცები მოსულან და რაფო წაუყვანიათ...

ქეთუშა – რაზე? რა დააშავა.

მაკო – დასაკითხად წაიყვანდნენ. ალბათ ჩვენზე უნდა ათქმეინონ რამე.

თამარი – არა გძინავს დედა.

მაკო – ხო მძინავს! ნეტავ, მართლაც მეძინოს და სიზმარში ვიყო!. მაშ. რაფო წაიყვანეს? რა იცის მაგ უბედურმა, რა უნდა თქვას.

თამარი – მარტო რაფო არა, ღამით ჩამოუვლიათ თავადების ოჯახებისთვის და კაცები გამოუყვანიათ. წნელებით გადაუბამთ და წივილაანთ გომურში დაუმწყვდევიათ.

მაკო – თავადიშვილების სულ 12 ოჯახია აქა.

კაცები რვა ოჯახსა ჰყავს. დანარჩენგან ბავშვები და ქალები არიან. მაშ, ელიზბარი, არჩილი, თაზიკო, ვახტანგი, ყველა წაიყვანეს?

ქეთუშა – კოტიკო, ძია ვახტანგი, ძია ედიშერი, ძია ვიქტორიც?

თამარი – ეგენიც... დილით, სოფლის კრება დაუნიშნავთ კომკავშირლებს. გლეხები ყველანი უნდა გამოხვიდეთო.

მაკო – ეგ ვინლა გითხრა?

თამარი – რაფოს წაყვანის შემდეგ, ნათლული ამოსულა მაგათი, იმას უთქვამს.

მაკო – ქალაქში წაასხამენ ჩვენ კაცებს, იქ, რას უზამენ, ვინ იცის...

ქეთუშა – სასამართლო იქნება. ხო უნდა დაუმტკიცონ რა დააშავეს. ესე, როგორ შეიძლება?

მაკო – შეიძლება, ამ დროში ყველაფერი შეიძლება!

(ამ დროს გაისმის ზარების ხმა, შორიდან მოისმის ხალხის ჩოჩქოლი)

თამარი – აგე, ეძახიან ხალხს.

ქეთუშა – წავალ, გავიგებ რა ხდება.

თამარი – არ გაადგა ფეხი! სად უნდა წახვიდე!.

ქეთუშა – კრებაზე, ადრეც ვყოფილვარ.

მეც ხო ამ სოფელში ვცხოვრობ.

ვინ რა უნდა მითხრას.

ნუციკოს გაუვლი და ერთად წავალთ.

თამარი – არ წახვიდე, არ გაბედო!.

ქეთუშა – როდემდე ვიჯდე, აქ სოროში.

ნუ გეშინიანთ. (გარბის)

თამარი – ღმერთო... ღმერთო...

(ისმის. ხალხის ხმა. მერე ღორის ჭყვილი)

მაკო – რა ხდება, ღორსა ჰკლამენ?

თამარი (გაიხედავს) – ვილაცეები დარბიან რაფოს ეზოში. ცოცხალ ღორს ბარკალი მოაჭრეს.

(ისმის ღორის გამყინავი ჭყვილი, მერე სროლის ხმა და სიჩუმე)

მაკო – მოჰკლეს?

თამარი – მოჰკლეს... რა ვქნა წავიდე ქეთუშას სამებნელად... მარტო როგორ დაგტოვოთ...

მაკო – მე არა მიჭირს, მაგრამ არ გინდა წასვლა... შენი დანახვა, მაგათ, უფრო გაამშაგებთ...
ქეთუშა თავადის გვარის არ არის, მაგას არაფერს უზამენ...

თამარი – თვითონ ხო არ იცის...

მაკო – სამაგიეროდ, მთელმა სოფელმა იცის.! რო მოიყვანეთ პატარა, ვინლა არ დაინახა.

თამარი – შეიძლება, თვითონაც ხვდება?

მაკო – შეიძლება! სოფელი ჭორიკანაა. ვილაცა წამოაძახებდა. ისე მიდის შვილო საქმე, რომ ჩვენ, ალბათ, ვერ გადავრჩებით... ქეთუშამ კი უნდა იცხოვროს... ჩვენში ყველაზე ნასწავლია, გიმნაზია დამთავრებული აქ... მაგან, ახლა, უნდა თქვას რომ ჩვენიანი არ არის და გაიტანოს ეს ცხოვრება... აბა, სხვა, რა გამოსავალია... მაგის ნამდვილ გვარზე მოწმობა, ხო გაქ შენახული?

თამარი – მაქ, აქ არი, სკვირში. (ეძებს)

მაკო – ხოდა, ყველაფერი უნდა ვუთხრათ, ვინ არი... საიდან არის... რა გვარის და რა ოჯახის... გლეხის შვილს, ხელს არ მოკიდებენ...

თამარი – აქა მქონდა მაგის მოწმობა შენახული, ვედარა ვპოულობ.

მაკო – რას ამბობ! აბა, კარგად ნახე:

თამარი – ვეძებ და არა ჩანს, იმათ, ხო არ გააყოლეს ხელს...

მაკო – ვინ, იმათ?

თამარი – ვინც დღეს აგვაწიოკა.

მაკო – სულ ხელებში ვუყურებდი, არაფერი არ წაუღიათ:

თამარი – ვაიმე, მომიკვდა თავი, რო ვედარ ვიპოვო...

მაკო – აბა სხვაგანაც ნახე. მოიკა მეც მოგეხმარები.

თამარი – აი, აქა ყოფილა! (პოულობს) მეც არა ვთქვი სად გაქრა... შემიღონდა გული.

მაკო – ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, გევედრები, არაფერი დაუშავდეს ჩვენს ქეთუშას...

თამარი – (ჩაიდებს გულის ჯიბეში.) რანაირად ვუთხრა... როგორ უთხრა... რა უთხრა, ჩემი არა ხარო... როგორ ამომივიდეს პირიდან...

მაკო – კარგი, აღარ გინდა მაგაზე ლაპარაკი... რაც ბევრს იფიქრებ მაგაზე, თქმა უფრო გაგიჭირდება. ქეთუმასთვის უნდა გააკეთო ეგ საქმე, მაგის, კარგად ყოფნისთვის...

თამარი – ეს, რა უბედური დღე გაგვითენდა!

იქნებ არც არაფერი მოხდეს...

იქნებ გამოუშვან კაცები...

იქნებ აღარ დამჭირდეს ქეთუმასთვის რაიმეს თქმა...

მაკო – ვითომ არ იცი... რაღას ვუმაღავთ ერთმანეთს...

ჭირი თავს არ მაღავს. თელავში, ქორწილიდან წაასხეს ხალხი და დახვრიტეს!

ყველგან ააწიოკეს. ელიზბარი არ ამბობდა, შორაპანში ვაგონებში შეყარეს და ისე დახოცესო?!

თამარი – ეგ ვინც აჯანყებულა... აბა, ჩვენთან, ამ სოფელში, ვინ, რას ვაშავებთ, ვცხოვრობთ ჩვენთვის, მორჩილად. თორმეტი ოჯახილა დავრჩით... აღარაფერი გვაქვს, არც მიწა, არც საქონელი. გლეხებზე ნაკლები გვაქვს სარჩო საბადებელი. ვის, რა ზიანი უნდა დავმართოთ...

მაკო – როცა საქმე აირევა, იქ სადღაა – მტყუან მართალი.

თამარი – რაც თავი მახსოვს, აქ, ამ სოფელში, არასდროს არ ყოფილა შუღლი, თავადებსა და გლეხებს შორის. იყო სიამტკბილობა, ხელის გამართვა, ნათელმძირონობა, ახლა რა მოხდა, რამ აურიათ გონება?! არა, არა მჯერა, ჩვენი გლეხები, ჩვენ, ვერ გაგვიმეტებენ!

მაკო – ამას წინათ, ჯერ კიდევ ხელმწიფის დროება იყო, მაგრამ უკვე მოწამლული იყო გლეხობა. ზაქარიას, ბოდბიდან, ერთი ქიზიყელი გამოუგზავნეს მოჯამაგირედ. გუშინდელ დღესავით მახსოვს... ერთხელაც, ეს ბიჭი, ხარს ჯოხს თავში ურტყამდა. ზაქარიამ დაუყვირა: ბიჭო, რათა სცემ საქონელს, გაანებე თავიო.

ეს, ვირბრიყვი, კიდე, მოუბრუნდა და... დადექ კნიაზ, თორე ამ ჯაგის სახრეს ხო ჰხედამო... ზაქარიამ, მაშინვე... ჩაუთვალეთ, რაც ეკუთვნის ფული და გააგდეთ აქედანო... ახლა რატო გამახსენდა, ის, ქიზიყელი იყო უბატონო და გაბედა. სხვები კი, ალბათ, გულში ინახავდნენ ბრახს. და რო აირია ცხოვრება, მაგათაც აერიათ ტვინი... შური და ბოდმა სჭამს ტვინსა და ჭკუას...

თამარი – რა ვიცი, დედა, მე რაც თქვენ რძლად მოვედი, გლახებისგან, კარგის მეტი, არაფერი გამიგია... ავი, არც მამაჩემის ოჯახიდან, მახსოვს... სოფლის ნახევარი გლახობა, ჩვენი მონათლულია...

მაკო – ეგ კი, მართლა ეგრე იყო... წყალი გინდა? წაიღეთ; საქონელი გინდა? წაიყვანეთ; ურემი იყო, წაიღეთ. ყველა, ყველაფერს, ვათხოვებდით, ზაქარია, მაგათთან ქეიფობდა კიდეც... ქალო, თავად ჩაეძიებოდა – რამე ხო არ გიჭირთო... ერთ გლახს ჩააცივდა სუფრასთან, რათა ხარ დაღონებულიო. იმდენჯერ კითხა, იმდენჯერ კითხა, რო ბოლოს ათქმევინა: ერთი ხარი დამეხრჩო ალაზანში და ურემი ვეღარ გამიმართიაო. ეს კიდე, ჩემი ქმარი, არც დაფიქრებულა, აგე ზემოთა სძოვენ დაიჭირე და წაიყვანე, გყავდეს რამდენი ხანიც გინდაო. ახლა იმ გლახს ხო გაუხარდა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, გულში ალბათ ამბობდა, ამას რათ უნდა ჰყავდეს და მე არაო... ახლა, ის გლახი, დარბის ალბათ სხვებთან ერთად...

თამარი – რათა, დედა, რათა, სიკეთე ესე ადვილი დასავიწყებელია?! ყველა ამბობდა, კნიაზ ზაქარია, ძალიან გვიყვარსო... დასაფლავებაზეც, რამდენი ხალხი იყო მთელი სოფლის გლახები ქუდმოხდილები იდგნენ... ზოგი, ტიროდა კიდეც...

მაკო – ისიც გლახივით შრომობდა და იმიტომ... მე რომ მომიყვანა, ქორწილის მეორე დღეს, გაგიგონია, დილით წამოდგა, ჩაცმა დაიწყო. სად მიდიხარ მეთქი. და მთაში უნდა წავიდე, ცხვარს დავხედოო... ეგრე იყო ყოველ ცისმარე დღე, შეჯდებოდა ცხენზე და ჩამოივლიდა მამულებს. მანამდე გადმოდგებოდა აივანზე და გასცემდა დავალებებს. შენ იქ წახვალ, შენ აქო. მერე ამოწმებდა, ვინ, როგორ ირჯებოდა... თუმცა, რას გიყვები, შენ თვითონ არ იცი?:

თამარი – ვიცი, ვიცი. გლახობაც კმაყოფილი იყო და ჩვენც.

მაკო – იქამდე, სანამ, ტვინი არ აურიეს... აი იმათ, რა ჰქვიათ აგიტურებმა, თუ ტურებმა.

თამარი – აგიტატორებმა, რევოლუციონერებმა.

მაკო – ჯანდაბა მაგათ, მე ტურებს ვეძახი... ყველას თანაბრად უნდა ქონდესო. თავადებს უნდა წავართვათო... ხელმწიფე იყო ჯერ კიდე, მაგრამ ხომ გახსოვს, დაიწყეს ჩუმი პარვა. აი, საქონელი მგელმა შეჭამა, კლდეზე გადავარდა, დაიკარგა, კი ვიცოდით რო გვატყუებდნენ, მაგრამ ხო გახსოვს, რო ვეღარაფერს ვამბობდით... ბოლოს გლახობა ძალიან გათამამდა, მადლიერება – სიავემ და უმადურობამ დაჩაგრა, შვილო, დაჩაგრა...

თამარი – რა ვიცი, მამა მაინც ძალიან უყვარდათ...

რასაც ჩემ ქმარზე ვერ ვიტყვოდი!

აიღებდა ფულს და წავიდოდა ქალაქში, დროს სატარებლად. რამდენჯერ თქვენ არ გაგიგიათ და ცხარე ცრემლით მიტირია, მაგის გამო.

მაკო – მაგ ქალაქმა დაღუპა, იქ არ შეეყარა ისპანკა.

თამარი – არ უყვარდა შრომა, რამდენჯერ მოსვლიათ მაგაზე მამა–შვილს ჩხუბი, ერთხელ ხმალიც კი დაჰკრა ვანომ შკაფს, ისე აერია გონება...

მაგრამ მამა, სულ შრომაში იყო.

მაკო – ზაქარია, ზარმაც კაცს, ვერ იტანდა. ეგ კი არა, ილიკო ჭავჭავაძეზეც იყო გაბრაზებული, თავადიშვილი, ეგეთი ბედოვლათი, სად ნახაო.

თამარი – ეგ არ ვიცი?

მაკო – ხო, ვიღაცამ უამბო, – ანდრონიკაშვილმა, მალხაზმა, ის ნასწავლი კაცი იყო. იცნობდა მაგ ჭავჭავაძეს. ხოდა მოუყვა ზარმაც თავადზე მოთხრობა დაწერა ილიკომო. ერთი თავადია სჭამს – სვამს და სძინავს. მეტს არაფერს არ აკეთებსო. აი, აქ იჯდნენ, ამ მაგიდასთან. წამოხტა ზაქარია გაბრაზებული, ცოტა გადაკრულში იყო – სადა ნახა ეგეთი თავადი, სადაცა ვნახამ მაგ ილიკოს, თოფს დავცემო... აკი დასცეს კიდეც თოფი...

თამარი – მაინც, გულში მგონია, ჩვენ ოჯახს, არ გაამწარებენ... და არც კაცებს დაუშავდებათ რამე... არც ქეთუშასთვის დამჭირდება ამ მოწმობის ჩვენება...

მაკო – შენ პირს შაქარი, შვილო, შენ პირს შაქარი... აგე, მგონი, ქეთუშა მოდის.

(შემოდის ქეთუშა)

ქეთუშა – დახოცეს, ყველანი დახოცეს.

დახოცეს, დახოცეს, დახოცეს... ერთი გაექცათ კოტიკო... დასდევენ ტყეში... დანარჩენი, ყველანი, დახოცეს.

თამარი – რას ამბობ, როგორ თუ დახოცეს.

ქეთუშა – ხევში ჩაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს... ერთმა ხანჯალი გაუყარა უკვე მკვდარს და სისხლი ალოკა... აი, ეგრე, მოხდა... ყველა დახოცეს. დახოცეს. და–ხო–ცეს.

თამარი – შენ თვითონ ნახე?

ქეთუშა – მე წინ არ გამიშვეს, უკან ვიყავი ხალხში... მიხაკო პაპამ მითხრა ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი ცოდლობა არ გამიგიაო, წადი შვილო სახლში. წადი, დაიმაღეთო.

არ წამოვედი ბოლომდე ვიყავი. ახლა, წნელებზე დააწყვეს მიცვალებულები და ქვემოთ, სასაფლაოზე მიაქვთ... ერთად უნდა ჩაყარონ მიწაში...

გზაზე ნაკადულივით მოდის სისხლი...

თამარი (ტირის) – ვაი ჩვენ თავს, ვაი – ვაი ღმერთო, ეს რას მოგვასწარი, ვაი, ვაი, მთელი სოფლიდან, როგორ არავინ გამოჩნდა, რო გაეფრთხილებინათ...

ქეთუმა – ძია არჩილი გაუფრთხილებიათ, გაეცალე დაიძალეო, ძია არჩილს კიდე უთქვამს – ის დაიძალოს, ვისაც რამე დანაშაული აქვს, მე ამ სოფლისთვის ცუდი არაფერი გამიკეთებია და არც გასაქცევად მაქ საქმეო.

სხვებისთვისაც უთქვამთ, არავის დაუჯერებია... ერთი გლეხი მეუბნება, შენ ზაქარიანთ არა ხარო, დაიძახსოვრე, ის რო ცოცხალი ყოფილიყო, იმას ხელს არავინ მოკიდებდაო. და არც ეს ამბავი არ მოხდებოდაო.

თამარი – ტყუილია, ტყუილი, ჩვენებსაც მოჰკლამდნენ, არ დაინდობდნენ. ღმერთო, კიდევ კარგი, რომ ჩვენი კაცები ადრე წაიყვანე და ამ ჯოჯობეთში არ მოაყოლე...

ქეთუმა – იქნებ წავიდეთ, გავიქცეთ სადმე?

თამარი – სად ჯანდაბაში წავიდეთ, სად ჭირში გავიქცეთ.

მაკო – თამარ, შვილო, უთხარი ყველაფერი...

უთხარი სანამ დროა:

ქეთუმა, აბა მოუსმინე დედას.

თამარი – ქეთუმა, შენი კვნესამე, მომისმინე...

რა ვქნა, როგორ გითხრა, მაგრამ რო არ გითხრა არ შეიძლება.

ქეთუმა – რა უნდა მითხრა.

თამარი – მე და ვანოს შვილი არ გვიჩნდებოდა და მერე ისე მოხდა, რომ, შენ...

ქეთუმა – ვიცი, ვიცი... გაღმა სოფლიდან წამომიყვანეთ, ვიცი რო თქვენი შვილი არა ვარ, ვიცი რო გლეხის შვილი ვარ, დედაჩემი რო ჩემ დაბადებას გადაყვა, მე რო უდღეური გავჩნდი 7 თვისა ეგეც ვიცი, ვიცი რო პურს ღვინოში აწობდნენ და ისე მზრდიდნენ, რადგან – რძესაც ვერა ვსვამდი. უკან ამომდიოდა, მერე ბებო რუსუდანმა რო გირჩიათ ჩემი წამოყვანა, ფულიც რო გადაიხადეთ, ეგეც ვიცი... ნაყიდი, რო ვარ, ვიცი...

მაკო – ვინ გითხრა, ვინ?

ქეთუშა – ათი თორმეტი წლის წინ, მაყაშვილებთან რო ვიყავით სტუმრად, პატარა საშვიკოს რო თავი გაუტყდა, ხო გახსოვს...

თამარი – როგორ არ მახსოვს. ხიდან ჩამოვარდა და ქვას დაარტყა. ექიმიც რო მოუყვანეს.

ქეთუშა – მე გაუტყხე თავი, ქვა ჩავარტყი! შენ აყვანილი ხარო, პირველად იმან მითხრა... მეგონა, იტყოდა ქვა დამარტყაო, მაგრამ არა სთქვა და მეც გავჩერდი... მერე ნუციკომ მითხრა, ეგრე ამბობენ ვითომ აყვანილი ხარო. მინდოდა შენთვის მეთქვა, მაგრამ ვერ ვამბობდი, რამდენჯერმე გკითხე რატო ძმა ან და არა მყავს მეთქი... გახსოვს?

თამარი – მაშინ მეც მივხვდი რომ რაღაცა იცოდი... დიდხანს დამალვას არც ვაპირებდით, გავიდოდა დრო და გეტყობით, მაგრამ ეს დრო, ვერ დადგა... ჯერ ვანო დაილუპა, მერე პაპა... მაინც ვინ გითხრა ეგრე დაწვრილებით?

ქეთუშა – პაპამ მითხრა, სიკვდილამდე ერთი თვით ადრე. ისეთი დროება დადგა. თავადებს დიდხანს აღარ აცხოვრებენ და არც გასაქანს მისცემენო... რამე რო მოხდეს, შენ შეგიძლია თავი გადაირჩინო, რადგან ჩვენი გვარის და სისხლის არა ხარო. ოღონდ შემომფიცე, რო თუ საჭიროება არ იქნება არავის ეტყვიო... იმის მერე ღამეები არ მეძინა, მინდოდა თქვენთვის მეთქვა, მაგრამ პაპას წინააღმდეგ ვერ წავედი... მერე არც მინდოდა დაჯერება და ახლაც არ მინდა დავიჯერო...

თამარი – შენზე ამოგვდიოდა მზე და მთვარე. არც არაფერი დაგვიკლია სანამ შეგვეძლო. ახლაც იმიტომ გეუბნები, რომ შენ გადარჩე და გააგრძელო ცხოვრება... ღმერთმა ეს გზა მოგცა ხსნისა და უარი არ უნდა სთქვა (აჩვენებს საბუთს)

აი შენი ნამდვილი მოწმობა, შენი ნამდვილი გვარი... ვანო მეუბნებოდა მოაშორე ეგ დაწვიო, მაინც შევინახე... ისე შევინახე ველარა ვპოულობდი... აი მეორე, ამაში ქრთამი მივეცი და ისე ავიღეთ, ახლა ეს აღარა გჭირდება (დახვეს)

ქეთუშა – რას აკეთებთ დედა, რასა?! იცოდეთ, მე თქვენი ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ! სადაც თქვენ იქნებით, მეც იქა ვარ, დედავ... დედავ. (გადაეხვევა)

თამარი – შენი კვნესა მე, შენი კვნესამე.

(კარებზე ბრაზუნია, ყველანი გაშეშდებიან. მერე თამარი მოიკრებს ძალას)

თამარი – ვინ არის?

იაგორა – იაგორი ვარ კომკავშირელი, წუხელ რო ვიყავი.

თამარი – მერე, რა გინდა აქა. ჩვენ არავის არაფერს ვუშავებთ.

იაგორა – გახსენით კარები.

თამარი – ვერ გაგიხსნით, მარტო ქალები ვართ აქა. რა გინდა, მანდედან გვითხარი და წადი, დაგვეხსენი, ჩვენ ყველაფერი ვიცით!

იაგორი – გახსენით, თორე ბიჭებს ვეტყვი და შემოვამტვრევთ, სახლი უნდა დავლუქოთ... ნუ გეშინიათ, თქვენ არას გიზამთ... გახსენით, ნუ დამამტვრევინებთ კარებს.

მაკო – აბა, მამის სული დაიფიცე, რომ ამ ქალებს არაფერს დაუშავებ, მამაშენი ჩვენი ნამოჯაგირალი იყო, ხო გახსოვს?!

იაგორა – მახსოვს, გახსენით კარები (აბრახუნებს)

მაკო – ჯერ დაიფიცე!

იაგორა – დავიფიცო, არა გავიფიცო. რო გეუბნებით არაფერს დაგიშავებთ, რატო არა გჯერათ... გახსენით დროზე, ჩქარა მეთქი.

(მცირე ყოყმანის შემდეგ თამარი კარს აღებს. შემოდის იაგორა)

იაგორა – ნუ გეშინიათ, მარტო მოვედი. ბიჭები გარეთ დავტოვე, რო არ შეგშინებოდათ. საბჭოს გადაწყვეტილებით, სახლი უნდა დავლუქოთ და თქვენ კიდეც ქვემოთ, საბჭოს ეზოში, უნდა წაგიყვანოთ.

მაკო – ბიჭო, რად უნდა დალუქოთ სახლი. რათა, თუ დასახოცები ვართ, აქ დაგვხოცე!

იაგორა – სახლები უნდა ჩამოერთვათ ყველას. თავადებს და იქ, გლეხები უნდა შესახლდნენ. ეგრეა ნათქვამი.

თამარი – ვისი ნათქვამი?

იაგორა – საბჭოს განკარგულებაა.

თამარი – თუ უნდა მოგვკლა, სადღა მიგვერეკები?

იაგორა – საბჭოში უნდა წამოხვიდეთ... აბა, აკრიფეთ ნივთები, თუ რამე გინდათ რო წამოიღოთ და წამოდით.

თამარი – თუ უნდა დაგვხოცო, ნივთები რაღად გვინდა?

მაკო – ბიჭო, რათ მოჰკალი ხალხი, რათა?!

იაგორა – ახლა ნუ დაიწყებთ წიოკობას... ტირილი კვნესა არ გააგონოთ, თორე ამ ბიჭებს ვეღარ გავაჩერებ... შემოვარდებიან და გაგამწარებენ.

მაკო – ამაზე მეტი რაღა უნდა გაგვამწარონ?!

მე შენი არ მეშინია, არც იმათი!

პასუხი გამეცი, რათ მოჰკალი ხალხი?!

რად მოჰკალი!!

იაგორა – მე, არავინ არ მომიკლავს... თავადები როგორც კლასი უნდა განადგურდეს, ეგეთია გადაწყვეტილება... მაგრამ აქ ერთი ამბავია... მოკლედ, საქმე იმაშია, რომ ისეთი ამბავია, წუხელიც მინდოდა ამის თქმა. მერე აღარა ვთქვი... ეგეთია ამბავი რომ... რა ვიცი... (ენას უკიდებს).

თამარი – რა ამბავი, გვითხარი, გაგვაგებინე, უნდა დაგვხოცო, ეგ დაგავალეს?

იაგორა – არა კაცო... მომისმინეთ... პირდაპირ გეტყვით, გამატანეთ ქეთუშა!

თამარი – რას ამბობ?

იაგორი – წავიყვან ქეთუშას.

მაკო – სად უნდა წაიყვანო, სად უნდა გაგატანოთ?!

იაგორი – გამატანეთ და მე ვიცი...

თამარი – რა იცი გვითხარი, ნუ დაგვიხეთქე გულები.

იაგორი – თქვენ გამატანეთ და მერე ნახავთ.

მაკო – რა აჯამივით ლაპარაკობ. რა უნდა ვნახოთ, ან სად უნდა გაგატანოთ?!

იაგორი – ჩემთან სახლში.

თამარი – რასა ჰქვია სახლში?

იაგორი – ისე კი არ მინდა, ცოლად მინდა.

თუ ცოლად გამატანთ, მერე მე ვიცი....

ისე, მოვახერხებ საქმეს, როა სახლი შევინარჩუნდეთ და ხელიც აღარავინ მოგვიდოთ... ოღონდ გვარი უნდა შეიცვალოთ, თავადის გვარით ცხოვრება, აღარ გამოვა.

მაკო – რა სთქვი, აბა გაიმეორე?

იაგორი (დაძაბული) – რაც გაიგეთ ისა ვთქვი... მე ბევრი ლაპარაკი არ ვიცი... ცოტა ხანში ისევ ამოვალ... მანამდე სხვებს ჩავიყვან საბჭოში. თუ ჩემი ნათქვამი დაგიჯდებათ ჭკუაში, ხო კარგი, თუ არა და როგორც გინდათ... ძალით, არც ცოლი მინდა, არც შვილი.

ქეთუშა – აბა მოწყდი აქედან, გაეთრიე: მოწყდი, მოწყდი არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა. (ესვრის ჭიქას).

თამარი – (შეშინდება. შებოჭავს ქეთუმას) დამშვიდდი, დამშვიდდი ქეთუმ, ხმა არ გაიღო, გემუდარები შვილო, დამშვიდდი.

იაგორი – ეგრეა საქმე? მაშინ დაივიწყეთ, რაც გითხარით... ჩათვალეთ რომ არც არაფერი არ მითქვამს... ცოტა ხანში ამოვალ და მზად იყავით! გაქცევა არ გაბედოთ, გარეთ ყარაულები დგანან! (გადის)

თამარი – რა წყალში ჩავვარდეთ... ეს რა გაგვიბედა...

მაკო – თავში რო არ ჩამკრა, არ გიკვირთ? დრო იხელთა ამ ვირმა, ამან!!

თამარი (ქეთუმას) – მაინც არ უნდა გაგეგდო, გაბოროტებული წავიდა...

ქეთუმა – ამაზე კრინტი აღარ დაძრათ!

თამარი – არა გენაცვალე არა, შენს გარეშე რა უნდა ვსთქვათ... შენც ხო ხედავ, რა წყალში ვართ ჩაცვნილები, რა ვქნათ, თავში ქვა საიდან ვიხალოთ... სახლიც უნდა წაგართვათო... თუ დაგვხოცავენ ხო კარგი, თუ არა და სად უნდა ვიცხოვროთ, ვის კარზე დავდგეთ, სათხოვრად....

ქეთუმა – გაჩერდით, გაჩერდით, თორე აქვე მოვიკლავ თავსა!!! (გადის სხვა ოთახში)

მაკო – აგე, თავგმა გაირბინა... ვერ გასწყდნენ ეს თავგები...

თამარი – რა დროს ეგ არი დედა... როცა ვირთხები გყავს შემოსეულები....

ისე, ეს ბიჭი, უხეშად არ მოგვეცევიან....

მაკო – მამამისს რო დასდევდა ტიტლიკანა, როგორ შეტრიალდა ცხოვრება... უკანანი, წინ მოექცნენ და წინანი, უკან (პირჯვარს იწერს)

თამარი – რა ვქნა დედა აღარ ვიცი...

მე სულ დავკარგე ჭკუა,

ველარაფერს ვფიქრობ...

მაკო – კაცები დახოცეს და ქალებს საბჭოში, რად გვერეკებიან. თუ მოკვლა უნდათ, რას უცდიან, ვითომ ამ იაგორას უწევენ ანგარიშს?!

ვითომ, ამისი, ამისთანა ხათრი აქვთ?

თამარი – კომკავშირელია, თანაც აქტიური...

შეეძლო ქეთუმა ძალით წაეყვანა, ბიჭებს დაუძახებდა და ჩვენ რას ვუზამდით, თავს თუ შევაკლავდით, მაგის გარდა რას ვიზამდით... არა ქნა, ძალით, არ მინდაო...

მაკო – ახლა, ძალაც მაგათია და ნებაც....

თრევით არ უნდოდა წაეყვანა, იმ ბიჭების შერცხვა, გარეთ რო ელოდებოდნენ...
ცოლად უნდა, ხასად ხო არა...

თამარი – ეტყობა დიდი ხანია თვალში მოსდიოდა, ჩვენ ეზოშიც მაგიტომ იყო, იმ დღეს,
ალბათ, შემოსული. ქეთუშამაც ხო გაიხსენა, ყურძენს მამლევდაო, მერე კიდევ
იდგა და მიყურებდაო...

მაკო – ქეთუშა მაგას არ იზამს...

ჩვენც ნურაფერს ვეტყვით,

რაც მოსახდენია მოხდეს.

ღმერთს უნდა მივებაროთ. ჩვენ, სხვა, არაფერი შეგვიძლია (კითხულობს მამაო
ჩვენოს)

თამარი – ღმერთო შენ გვიშველე.

მაკო – ერთი ღამე, ერთი ღამე და არც ერთი კაცი, თავადიშვილი, ცოცხალი აღარ არი.
ქალებსაც გაგვანადგურებენ... ხედავ, რას ამბობენ, თავადობა უნდა ამოწყდესო...
ჩვენ სახლებში, გლეხებს ჩასახლებენ და დამთავრდა ყველაფერი... დაიწყება
სხვა ცხოვრება, მაგრამ ამხელა ცოდოთი, ვინღა გაიხარებს... ან ამათ შვილებს, რა
მოუვათ...

თამარი – ღმერთი აღარ სწამთ, აღარ. ამათ აღარა სწამთ ღმერთი.

(შემოდის ქეთუშა)

ქეთუშა – მშია!

თამარი – რაა... რა თქვი?

ქეთუშა – მშია მეთქი.

თამარი – (გაკირვებული) ბუფეტშია სადილი გამოიღე.

(ქეთუშას გამოაქ პური და ყველა, იწყებს ჭამას)

მაკო – მეც მომშივდა, მშიერი რად უნდა მოვკვდე, სიბრაზემ მოშიება იცის. უფრო კი,
შიშმა იცის, მოშიება. ერთხელ ცხენმა გამიტაცა, ვეღარ ვაჩერებ, ხრამის პირზე
გარბის. ახლა ჩამოვვარდები, მოვკვდები, ან ახლა მეთქი, ვფიქრობდი.
გამოცვივდნენ მუშები, რომლებიც მიწას სთხრიდნენ, გადაუდგნენ ბარებით წინ
ცხენსა და გააჩერეს. სახლში რო დავბრუნდი, ერთი მოხარშული დედალი
შევჭამე! (ნერვიულად იცინის)

(იწყებს ვითომ ჭამას)

არა, არა მშია, მაშ და არც ამათი, მეშინია!!
(ქეთუმა იწყებს სიცილს, მერე ჩერდება)
მაკო ფსალმუნს იღებს. სათვალეებს იკეთებს და კითხულობს).
ნეტარ არს კაცი მოშიში უფლისა
მის მცნებათა მოყვარული
ძლიერი იქნება ქვეყნიერებაზე
შთამომავლობა მისი
მართალთა თაობა იკურთხოს
მის სიმართლე მარადიულია.
საუკუნოდ გასახსენებლად იქნება მართალი
ცუდი ამბისა არ შეეშინდება
მტკიცება მისი გული, მინდობილია უფალზე.
არ შეშინდება ოდეს იხილავს თავის მტრებს.
მისი სიმართლე მარადიულია
მისი ღირსება ამალდება დიდებით
ბოროტი ნახავს და განრისხდება
კბილებს დააღრჭენს და დადნება
გულისთქმა ბოროტთა წარსწყმდება.

III სურათი

(შემოდის იაგორი)

იაგორა – წავედით, ბოლო ოჯახი თქვენა ხართ. მეტს ვეღარ მოვიცდი.

მაკო – მე, ჩემმა ქმარმა, აქ, მომიყვანა და აქედან, არსად, წამსვლელი, არა ვარ!

იაგორა – არ გამოვა ეგ საქმე. აბრძანდით, თორე დაუძახებ ბიჭებს და მაგ კრესლოიანად
წაგიყვანენ... ადე, კნეინა... ადე, ბოდიში, მაგრამ სხვანაირად არ გამოვა...

თამარი – მაინც დასახოცად მიგყევართ და რა მნიშვნელობა აქ, ეს მოხუცი ქალი, აქ
მოკვდება, თუ იქ. გაანებოთ იქნებ თავი.

იაგორა – არა, ეგრე არ გამოვა, ადექით ახლა... კარგით, მაშინ, აბა, მიყურეთ.

(აპირებს ბიჭების დაძახებას)

ქეთუმა (შეცვლილი) – მოიცა, რა გქვია შენა?!

იაგორა არა? შენ ის არა ხარ ბიჭო, ბავშვობაში მე რო ვთამაშობდი და შენ რო ღობიდან იჭყიტებოდი, რო დაგინახავდი და გაიქცეოდი. მაშინაც მოგწონდი?

იაგორა (აღელვებული) – მერე?

ქეთუშა – ჩემი ცოლად შერთვა გადაიფიქრე?

იაგორა – მერე?

ქეთუშა – მერე წამო განზე გავიდეთ

სიტყვა უნდა გითხრა.

(მაკო და თამარი გაოგნებულები, დამუნჯებულნი არიან)

იაგორა – განზე რატო უნდა გავიდეთ. დასამალი არაფერია.

ქეთუშა – წამო ნუ გეშინია, სიტყვა მაქ სათქმელი.

იაგორა (ვითომ ხუმრობით) – მეშინია? დათვი მყავს მოკლული (გაუყვება) აჰა რა გინდა.

ქეთუშა – მოიცა ბიჭო, ვიცი რო მოგწონვარ, მოდი მოგკიდო ხელი, რა ძლიერი მკლავები გაქვს. შენ, დათვს, ხელითაც მოკლავდი. ნუ გეშინია, რატო თრთი, ხო არ შეგჭამ, რისი გეშინია, რო მოგწონვარ მაგის თქმის გეშინია? ბიჭო, მომისმინე ადამიანის მოკვლის არ გეშინია და სიყვარულის გეშინია? როგორ არა გრცხვენია.

იაგორა – მე არც არავინ მომიკლავს და არც არავის მეშინია.

ქეთუშა – მაშ ის ხალხი ვინ დახოცა?

იაგორა – მე არა.

ქეთუშა – შენისთანებმა ხო დახოცეს, კოტიკო დაიჭირეს? მოჰლეს?

იაგორა – მაშ არადა, გაუშვებდნენ.

ქეთუშა – რატომ, რატომ, რა დააშავა, ან სხვებმა რა დააშავეს.

იაგორა – ეგ დიდი ამბავია, კარგი გვეყოფა, წამოდით ეხლა.

ქეთუშა – მოიცა, მოიცა, რა მოგივიდა ცოლი მართლა აღარ გინდა?

იაგორა – ძალით არაფერი არ მინდა.

ქეთუშა – ბიჭო ძალა არ არი ეგა, რო ეგეთ დროს მოდიხარ და იძახი, ეს გოგო გამატანეთო?

ხელს ეგრე სთხოვენ?

ეგრე ხო საქონელი მიყავთ. შენ ხო მოგწონვარ. თუ გიყვარვარ კიდევ. თქვი სიმართლე. ადამიანი ხო ხარ?

იაგორა – მერე?

ქეთუშა – რა მერე, მაგის მეტი არაფერი არ იცი?

გიყვარვარ თუ არა გეკითხები.

რატო დამუნჯდი?

იაგორა – მე?

ქეთუშა – ხო შენ.

იაგორა – მიყვარხარ, მერე რა გინდა, აბა სხვა დროს როგორ მეტყვა, ვინ მომისმენდა.

ქეთუშა – მერე ამ შეშინებულ ქალებს რო ეუბნები ცოლად გამატანეთო შეიძლება?

მე რათ არ მეუბნები ადამიანად არ მცნობ?

იაგორა – იმათ რო უთხარი, შენც ხო იქ იყავი, ხო გესმოდა.

ქეთუშა – ხოდა მაგიტომაც გავბრაზდი იმათ რო უთხარი...

იცი როგორ მეწყინა.

საერთოდ ვინმესთვის გითქვამს მიყვარხარ, ან გიცდია ამისთანა რამე...

ქოჩორი გვერდზე გადაიწიე, შუბლზე რო გაქ ჩამოფხატული.

(იაგორა ქოჩორს ისწორებს) აგე, რა ლამაზი შუბლი გქონია, როგორ გიხდება.

იაგორა – ნუ დამტანჯე ახლა. თუ ხო, ხო, თუ არა, არა, და არა.

ქეთუშა – თუ არა?

იაგორა – არა და არა.

ქეთუშა – აი გაწითლდი, ესეიგი მართლა გიყვარვარ, თუ ეგრეა და გიყვარვარ რად მექცევი საქონელივით. არა გრცხვენია? მოდი ხელი მომკიდე. აი ნახე როგორი ცივი მაქ. ნიშნავს რომ გული ცხელი მაქ. შენ გული ცივი გაქ, თუ ცხელი?

იაგორა – რასა ნიშნავს ეხლა ესა? დამცინი, მამასხარავებ?

ქეთუშა – რად დაგცინი, მეც მომწონხარ, კარგი ბიჭი ხარ. თორე ხელები ცხელი გექნებოდა... მაშინ შევთანხმდეთ. მე ცოლად წამოგყვები და მეყვარები კიდევ. ოღონდ, იცოდე, კომკავშირში, მეც უნდა შევიდე და სწავლაც გავაგრძელო... ამ ქალებს კი, ხელი არ დაედებათ! თანაც იცოდე, მე თავადის ქალი არა ვარ, გლეხის ქალი ვარ. აჩვენე ჩემი მოწმობა?

(თამარი იღებს ქეთუშას მოწმობას)

იაგორა – ვიცი, მაგ მოწმობის გარეშეც ვიცი, ვინც ხარ.

სოფელმაც იცის.

ქეთუმა – კარგია რო იცი. ახლა ეს მითხარი, კომკავშირში უნდა შევიდე და სწავლა გავაგრძელო,

ამ ქალებს, ხელს არ ახლებენ.

სახლიც შენარჩუნდება. ჩვენც თუ გინდა აქ ვიცხოვრებთ, თუ გინდა შენთან წამოვალ.

იაგორა – კომკავშირზე?.. ძალიან კარგი, სწავლაც გააგრძელე, ვინ გიშლის, ამათ კი, ჯერ საბჭოში უნდა ჩავიდეთ და იქ გადაწყდება... მე როგორც დაგპირდით, ჩემს პირობას შევასრულებ.

ქეთუმა – ეგრე არა სჯობია ბიჭო.

ვუხდებით ერთმანეთს.

(მაკოც და თამარიც გაოგნებულები არიან).

თამარი – მაშ, მაშ უხდებით...

ქეთუმა – ბევრი შვილები გვეყოლება, სამი ბიჭი, ერთიც გოგო, თუ ორი გოგო და სამი ბიჭი, როგორ გინდა?

(იაგორას ვერ გაუგია ხუმრობს, თუ სერიოზულად ეუბნება. დაბნეულია.)

იაგორა – არ გინდა ეგეთები. წავიდეთ ახლა.

ქეთუმა – მოიცა, ერთი კიდევ (ჩურჩული) ჩემი მოკვლა, რომ დაგავალონ შეასრულებ?, მითხარი სიმართლე და წამოგყვები.

იაგორა – დავაყენებ პულიმიოტს გორაზე, და თითსაც, ვერავინ გახლებს! ეგ გინდოდა რო მეთქვა.

ქეთუმა – სწორედ ეგ მინდოდა გეთქვა.

იაგორა – ახლა წამომყვები?

ქეთუმა – ხო გითხარი წამოგყვები მეთქი.

ოღონდ დღეიდან, შენზე ნაკლები კომკავშირელის რჯულიც არ იყოს. წერა–კითხვა იცი?

იაგორა – კითხვა ვიცი. წერა ცოტა მეშლება.

მეც მინდა სწავლა. რუსულიც უნდა ვისწავლო.

ქეთუმა – მე გასწავლი... რას გვიყურებთ, ქალებო, არ უნდა დაგვლოცოთ?

იაგორა – მაგის დრო მოვა. ჯერ ხელი უნდა მოვაწეროთ. ახლა კი, წავედით, ძალიანა გთხოვთ, წავიდეთ, გვაგვიანდება.

მაკო – მე, არსად, არ წამოვალ!

თამარი – მე წამოვალ. გაანებე შვილო ამ მოხუცს თავი, გევედრები, გზაში მოგვიკვდება, ვერ ივლის.

იაგორა – კარგი, ოღონდ არსადა სთქვათ. იცოდე, გარეთ ვერ გავა. კარები დაკეტილი იქნება და თან ლუქიც უნდა დავადო... ხვალამდე რო ეგრე მოუწიოს, გაძლებს?

ქეთუმა – გაძლებს. თანაც ლუქს დღესვე ავხსნით! ვიცი, რასაც გეუბნებით! წავიდეთ!

თამარი – დედა ნუ შეშინდები, ქეთუმა ყველაფერს იზამს რომ მალე დავბრუნდეთ (ქეთუმა ყელსაბამს ჩუმად იხსნის, შემდეგ გადაიფიქრებს, ისევ ფარულად იკეთებს. (მაკოს კოცნის)

ქეთუმა – ეგ უღვაში უნდა გაიპარსო იცოდე.

წავიდეთ, იაგორ ბიჭო, რას დაღონდი.

წავიდეთ

(სახლს კეტავენ. ლუქს ადებენ. ხმაური მიწყნარდება. მაკო გაუნძრევლად ზის)

მაკა – ეს ქეთუმა იყო, ქეთუმა?

ღმერთო შენ მიშველე. (ლოცვებს ბუტბუტებს)

IV სურათი

(მეორე საღამო. იგივე ოთახი. მაკო ისევ გაუნძრევლად ზის მაგიდასთან. გარეთ ხმაურია.

ძალი ყეფს. ისმის თამარის ხმა)

თამარი – მადლობა, მადლობა რო ჩემ სახლში დამაბრუნეთ. არაფერს აღარ ვჩივი, დიდი მადლობა. გაიხარეთ ბიჭებო, გაიხარეთ.

(შემოდის ოთახში)

როგორა ხართ, დედა. გადავრჩით! სახლიც შეგვინარჩუნეს!

მაკო – კარგად... კარგად... აბა მოჰყევი როგორ იყო...

თამარი – ჩაის გაგიკეთებთ, საჭმელი სჭამეთ?

თუ სულ მშიერი ხართ.

მაკო – გაიხელი... კაკაო გამიკეთე... აბა... მოჰყევი....

(თამარი სამოვარს ადგამს. აქტიურია. გახალისებული. დაღლა არ ეტყობა)

თამარი – ქეთუმამ გამოიჩინა თავი. სულ სხვა ქალი გამხდარა. არავის, არაფერი დაუთმო, მე თავადის ქალი ხომ არ გგონივართ, გლეხის ქალი ვარო. არ შეგეშალოთო.

ეუბნებოდნენ შენ წადი, თავისუფალი ხარო. ცალკე იაგორას დედა ეხვეწებოდა, წამო ჩემთანო. არაო, ამათთან უნდა ვიყო! გზაზე, კიდევ ქალები გამოიყვანეს. ნინას ერთი ბავშვი აკვანში ეწვა, ერთი წამოზრდილი იყო. ორივე ავად იყვნენ. იმასაც უთხრეს წამოდო, ბავშვებს თავი გაანებე და წამოდით – აქაც ქეთუშამ გამოიღო თავი, ეგ ბავშვები თავადის გვარისანი არ არიან, მაგათგან რაღა გინდათო! იაგორიც ჩაერია და დაანებეს ნინას თავი! ჩვენ ვენახებს რო ჩაუარეთ, შევიდა ყურძენი მოკრიფა და ქალებს დაურიგა. ზოგმა გამოართვა, ზოგმა არა, ტიროდნენ ჩუმად, ხმის ამოღებას უშლიდნენ. აქაც ქეთუშა, ნუ სტირით, ნუ აჩვენებთ რო სიკვდილისა გემინიანთო! არ ვიცი, ვინ მისცა ამ პატარა გოგოს, ესე უცბად, ამხელა ძალა!

(უსხავს კაკაოს)

მიირთვით.

მაკო – მერე... ქალო, მერე...

თამარი – ჩაგვიყვანეს და შეგვყარეს საბჭოს ეზოში.

შუადღე გადავიდა, არაფერს გვეუბნებიან. ეს, იგორა, დარბის აქეთ იქით. უნდა რო დაგვეხმაროს. ამ დროს, გამოიარა სამაზრო კომიტეტის მდივანმა და გასცა განკარგულება – რო ქალები გაუშვით, თავისუფლები არიან, ოღონდ სახლებში არ წავიდნენო. აქ ისევ იყოჩაღა ქეთუშამ და წავიდა ფეხით სიღნაღში! იაგორამ თავის ძმა გააყოლა. მდივანთან რო შესულა, მდივანს უთქვამს – თქვენი? ვინ მოკლესო? არავინ, ჩვენ, კაცები არა გვყავდნენ. მაშინ, თქვენთვის, სახლი არ უნდა დაეღუქათ, გაუგებრობა მომხდარაო. მაშინვე დაუწერა განთავისუფლების განკარგულება და უთქვამს, ახლავე წადით კომისია თქვენ სოფელში წამოსულა და ჩაუსწართო... ქეთუშამაც ჩამოუსწრო! მისცა ის ქალადი თავმჯდომარეს! იმან კიდევ, კაცები გამომაყოლა ლუქის ასახსნელად... თვითონ ქეთუშა და იაგორა, საბჭოში ხელის მოსაწერად დარჩნენ. ქეთუშამ, ხელს მოვაწერ და ქმართან ერთად, ამოვალო: ვისაც ხალხი დაუხოცეს, ყველანი ქალაქისკენ წავიდნენ... მეც მეუბნებოდნენ თქვენც წადით სადმე, გლეხები ისევ არ ალელდნენ და უბედურებაში არ გაგხვიონო. აქაც ქეთუშა, კრინტი არ დასძრას არავინო, მე კომკავშირელის ცოლი ვარ და ეგ ოჯახიც, კომკავშირელის არიო! იაგორამ მითხრა, როგორც დაგპირდით, ხო ისე შესრულდაო, გვარის გადაკეთება კი მაინც

მოგიწევთო... რატო არ მიირთმევთ დედა? ვიფიქრე და გვარი იქნება აგველო,
ჩვენებიანთ... დედა, ცუდად ხომ არ ხართ? ხმა გამეცით...

დედა, აბა, ხმა ამოიღეთ, ვერა მხედავთ?

(მაკო ხმას არ იღებს. თამარი მაჯას გაუსინჯავს... მერე თვალებს დაუხუჭავს...
სავარცხელს აიღებს. თმებს უვარცხნის. მერე გვერდით მიუჯდება. მის ხელს
აიღებს და ეფერება...

შორიდან გაისმის ღორის განმგმირავი კვილი. თამარი უცებ აენტება და გარეთ
გარბის).

თამარი – რა გინდათ, ვინა ხართ, თქვე უღმერთოებო?! რათა ჰკლავ, თქვე ოხრებო, რათა
ჰკლავთ, რათა?! დაიგულეთ უპატრონო სახლ-კარი, თქვე მურდლებო?! თქვე
ოხრებო! რათა ჰკლავთ, რათა?! უნამუსოებო! ოხრებო! არ მოკლათ! არ გაბედოთ!
არ მოჰკლათ! არა, მოდით, მოდით მე ჩამქოლეთ! არ მეშინია, მოდით! თქვე
საცოდავებო! თქვე უნამუსოებო!

(ღორის კვილს ემატება ზარების ხმა, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდება და
თამარის ხმას ფარავს. შორს ისმის ჭოტის კვილი. ბნელდება. ისმის თოფის
გასროლის ხმა)

დასასრული

ალექსანდრე (აგათო) ვაჩნაძე

2021 წელი